

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
სტუდენტური თვითმმართველობის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში “კონსერვატორია”) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში “სტუდენტური თვითმმართველობა”) წარმოადგენს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე ფაკულტეტების მიხედვით ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების გზით არჩეულ სტუდენტთა ერთობლიობას.
2. კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება თითოეული მხარეთულებიდან არჩეული სტუდენტებისაგან.
კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი – 14 წევრი
საშემსრულებლო ფაკულტეტი – 14 წევრი
3. სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევა ორი წლის ვადით.
4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრად აირჩევა მხოლოდ კონსერვატორიის სტუდენტი და დოქტორანტი.
5. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის ყველა სტუდენტს.
6. სტუდენტური თვითმმართველობის შემადგენლობა განახლებას (შეესებას) ექვემდებარება მისი წევრობიდან რაიმე მიზეზით, რომელიმე წევრის გამოკლების შემთხვევაში. გამოკლებული წევრის ადგილს იკავებს კანდიდატი, რომელმაც იმავე ფაკულტეტზე არჩევნებში ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა.
7. სტუდენტური თვითმმართველობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო აქტების, კონსერვატორიის წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.
8. სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი, რომელიც არ არის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი და რომელზედაც არ ვრცელდება ამ დებულებით გათვალისწინებული ნორმები. საპატიო წევრი არ სარგებლობს ხმის უფლებით.
9. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა არაპოლიტიზირებულია.
10. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესებს კონსერვატორიის მართვის ორგანოებში.
11. სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ემბლემა, შეიძლება ჰქონდეს დროშა, ჰიმნი და სხვა ატრიბუტიკა, სტუდენტური თვითმმართველობის გადაწყვეტილებით.
12. სტუდენტური თვითმმართველობის მისამართია: თბილისი, 0108, აღ. გრიბოედოვის ქ. № 8, აუდიტორია № 215.
ტელეფონი: (+995 32) 996697
ელ-ფოსტა: self-government@conservatoire.edu.ge

მუხლი 2. ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი მიზანია კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზების გზით, სტუდენტების სწავლისა და სწავლების დონის ამაღლებაზე ზრუნვა პროფესიული და აკადემიური ცოდნის მისაღებად;
2. დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში;
3. ხელი შეუწეოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში;
4. დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;
5. დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარჩვევების გამომუშავებაში და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. დახმარება გაუწიოს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში;
6. ხელი შეუწეოს კონსერვატორიის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა.
7. სტუდენტური თვითმმართველობის ამოცანებია:

ა) პრიორიტეტული პროექტებისა და წინადადებების მომზადება და მათ განხორციელებაზე ზრუნვა;

ბ) სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;

გ) სასწავლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

დ) პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება და წარდგენა;

ე) პროექტების განსახორციელებლად საჭირო ფონდების მოძიებაზე ზრუნვა;

ვ) საქართველოსა და საზღვარგარეთის სტუდენტურ თვითმმართველობებთან (ან შესაბამის გაერთიანებებთან) კონტაქტების დამყარება;

ზ) განსაკუთრებით ნიჭიერ მუსიკოს-შემსრულებელთა (სტუდენტთა) პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა;

თ) წინადადებების მომზადება მასტერკლასების ჩასატარებლად ამა თუ იმ მუსიკოსის მოწვევის თაობაზე;

ი) სტუდენტური კონცერტების გამართვა

კ) თვითმმართველობის მიზნების განხორციელებაზე ზრუნვა კონსერვატორიის მართვის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსი

თავი I

მუხლი 1.

1.1 ეს კოდექსი განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობისა და მათი წევრების ქცევის ზოგად წესებს, რომლებიც შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან, უმაღლესი განათლების შესახებ

საქართველოს კანონთან და საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაციასთან.

1.2 ეს კოდექსი ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობისა და თავისუფლების ძირითად პრინციპებს, ასევე მორალისა და ეთიკის საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს.

მუხლი 2.

2.1 სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული დელეგატებისა და მოწვეული წევრებისაგან;

2.2 სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) უფლებამოსილია შეიმუშავოს წინადადებები ფაკულტეტის, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამისად: ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;

ე) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

2.3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი II

სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის პრინციპები

მუხლი 3.

3.1 სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, უმაღლესი სასწავლებლის წესდებითა და თვითმმართველობის დებულებით მინიჭებული უფლებებით;

3.2 სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრმა საკუთარი უფლება-მოვალეობები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერად;

მუხლი 4.

4.1 სტუდენტური თვითმმართველობები საკუთარი საქმიანობის წარმართვის დროს ეყრდნობიან შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) პატიოსნება - სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და წარმომადგენლები ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ეფექტიანად. მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ ტიპის ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის, სტუდენტების, საუნივერსიტეტო საზოგადოებისა ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დისკრედიტაციისაკენ;

ბ) საჯაროობა - ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის მისიის, სტრუქტურის, საქმიანობისა და ფინანსების შესახებ არის საჯარო, ხოლო ორგანიზაციის მუშაობა გამჭვირვალე;

გ) პასუხისმგებლობა - სტუდენტური თვითმმართველობის თითოეული წევრი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თავის საქმიანობას როგორც

უნივერსიტეტში, ასევე, უნივერსიტეტის გარეთ მესამე პირებთან ურთიერთობისას;

დ) კონფიდენციალურობა - სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა არ უნდა გაამჟღავნონ საკუთარი უფლება-მოვალეობების შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია, თუ აღნიშნულის გამჟღავნება ხელს შეუწყობს პიროვნების კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას;

ე) თანასწორობა - სტუდენტური თვითმმართველობის წევრები აკადემიურ პროცესში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით სხვა სტუდენტებთან მიმართებაში;

ვ) ურთიერთთანამშრომლობა - სტუდენტური თვითმმართველობის თითოეული წევრი მოქმედებს შეთანხმებულად, საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

4.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი პრინციპების დაცვა ხელს უწყობს თვითმმართველობის, როგორც სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოს, მთავარი მისიის შესრულებას - დაიცვას სტუდენტთა უფლებები და ინტერესები;

მუხლი 5.

5.1. სტუდენტური თვითმმართველობა ვალდებულია გაითვალისწინოს და დაიცვას იმ სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები.

5.2. სტუდენტური თვითმმართველობა უზრუნველყოფს ასევე საუნივერსიტეტო სივრცეში ამ პირთა სრულ ინტეგრაციას.

მუხლი 6.

6.1. სტუდენტური თვითმმართველობა დამოუკიდებელი და თავისუფალია გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საკუთარი დებულების შესაბამისად;

6.2. დაუშვებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და გარეშე პირების მხრიდან თვითმმართველობის საქმიანობაში ნებისმიერი სახის ჩარევა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და თვითმმართველობის საქმიანობის ძირითად პრინციპებს;

მუხლი 7.

7.1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ინარჩუნებს პარტიულ ნეიტრალიტეტს;

7.2. დაუშვებელია სტუდენტური თვითმმართველობის მიერ:

ა) პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების მიერ ორგანიზებულ აქცია-ღონისძიებებსა და პიარ-კამპანიებში მონაწილეობა;

ბ) ფინანსური და სხვა სახის რესურსების გამოყენება რომელიმე პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ;

გ) ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა და მისი ლიდერის მხარდასაჭერი განცხადების გაკეთება;

თავი III

სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლება-მოვალეობები

მუხლი 8.

8.1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი არის პირი, რომელიც სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურზე და არჩეულია სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად საარჩევნო დებულების შესაბამისი პროცედურების დაცვით;

8.2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს და დაიცვას სტუდენტის უფლებები და ინტერესები;

ბ) დაეხმაროს სტუდენტებსა და ცალკეულ სტუდენტურ საინიციატივო ჯგუფებს საუნივერსიტეტო პროექტების განხორციელებაში;

გ) საუნივერსიტეტო საკითხებზე გადაწყვეტილების მომზადების, განხილვისა და მიღების დროს გაითვალისწინოს საერთო სტუდენტური ინტერესები;

დ) პატივი სცეს უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სხვა სტუდენტებს და მათთან ურთიერთობისას დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმები;

3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის მხრიდან დაუშვებელია:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;

ბ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

გ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხსასროლი ან/და ცივი იარაღის შემოტანა ან/და გამოყენება;

დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

ე) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში;

ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზება და მათში მონაწილეობა;

ზ) ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სტუდენტებისათვის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის;

თ) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კოდექსს, სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას, უნივერსიტეტის წესდებასა და საქართველოს კანონმდებლობას;

მუხლი 9.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ან მისი დავალებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტუდენტური თვითმმართველობის წევრმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ამ კოდექსის მოთხოვნებთან.

მუხლი 10.

სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულებისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის მართვის ორგანოს;

ე) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

თავი IV

ეთიკის კოდექსის აღსრულებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები

მუხლი 11.

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები ზედამხედველობას უწევენ ეთიკის კოდექსის იმპლემენტაციასა და მის შესრულებას, რაც გულისხმობს:

- ა) სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისათვის მის გაცნობას;
- ბ) უნივერსიტეტის ან სტუდენტური თვითმმართველობის ვებ-გვერდზე საჯარო გამოქვეყნებას;
- გ) საჭიროების შემთხვევაში თვითმმართველობის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას;

მუხლი 12.

12.1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებზე;

12.2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი იზიარებს და იცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებსა და დადგენილ წესებს;

12.3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი აღიარებს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების უფლებამოსილებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

- 1. საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის ინტერესებში შემავალი ყველა საკითხი.
- 2. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:
 - ა) დაიცვას და წარმოადგინოს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები;
 - ბ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელება;
 - გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე გადაწყვიტოს სასწავლო პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებულ საკითხები;
 - დ) მოახადოს წინადადებები ფაკულტეტისა და კონსერვატორიის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და წარუდგინოს ისინი შესაბამისად ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით ან აკადემიურ

საბჭოებს;

ე) დასვას საკითხი სწავლების დონის ასამაღლებლად საჭირო ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების თაობაზე;

ვ) შეიმუშავოს და დაამტკიცოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;

ზ) აირჩიოს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე;

თ) აირჩიოს წარმომადგენლები ფაკულტეტის საბჭოში;

ი) მოიპოვოს დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან;

კ) განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა;

3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი მიზნების განსახორციელებლად:

ა) თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან;

ბ) უფლებამოსილია მოაწიოს შესაბამისი შეხვედრები, დისკუსიები, დებატები, საგანმანათლებლო, კულტურული, სამეცნიერო, გასართობი, სპორტული და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები;

4. სტუდენტური თვითმმართველობა იყენებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებებს და ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებს;

5. დებულების შესწორება შესაძლებელია მისი დამტკიცების შემდეგაც წევრების 2/3 ხმით.

3. კონსერვატორიის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები

1. სტუდენტური თვითმმართველობის სისტემაში არჩეული შეიძლება იყვნენ მხოლოდ კონსერვატორიის სტუდენტები.

2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი აირჩევა სტუდენტთა მიერ ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე და წარმოადგენს მათ ინტერესებს სტუდენტურ თვითმმართველობაში.

3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი წლით.

4. თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ინიშნება რიგგარეშე არჩევნები თავისუფალი ადგილის შესავსებად.

5. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

ბ) არჩეულ იქნეს ფაკულტეტის საბჭოში;

გ) დასვას საკითხი სტუდენტური თვითმმართველობის კონფერენციის (სხდომის) წინაშე და მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში;

დ) აირჩიოს და იყოს არჩეული თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

ე) წარადგინოს წინადადებები ამა თუ იმ პროექტის შემუშავების თაობაზე და იყოს მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (პროექტის კოორდინატორი).

6. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას ფაკულტეტის თითოეული სტუდენტის ინტერესები და კანონიერი უფლებები;

ბ) შეასრულოს პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის და პროექტზე პასუხისმგებელი პირის (კოორდინატორის) დავალებები;

გ) სისტემატიურად ეცნობოდეს სტუდენტური თვითმმართველობის წევრისთვის განკუთვნილ საინფორმაციო დაფაზე გამოკრულ განცხადებებს.

დ) შეასრულოს ამ დებულებით დაკისრებული სხვა მოვალეობები.

6. სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი, არაუმეტეს ოთხისა, რომელიც შეიძლება არ იყოს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი; მას არა აქვს ხმის მიცემის უფლება; მასზე არ ვრცელდება ამ დებულებით დადგენილი მოვალეობები.

მუხლი 6. თვითმმართველობის პარლამენტი

1. თვითმმართველობის წევრთა პარლამენტი წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან.
2. თვითმმართველობის წევრთა პარლამენტი იკრიბება საჭიროებისამებრ. თვითმმართველობის პარლამენტის სხდომის ჩატარების თარიღის და დღის წესრიგის შესახებ თვითმმართველობის წევრებს ეცნობება სხდომის ჩატარებამდე არა უგვიანეს 1 კვირით ადრე.
3. თვითმმართველობის პარლამენტის სხდომა უფლებამოსილად ცხადდება, თუ მას ესწრება თვითმმართველობის წევრთა ნახევარზე მეტი.
4. პარლამენტის სხდომის რიგგარეშე მოწვევის უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, ვიცე პრეზიდენტს ან სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა 2/3-ს.
5. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი (სხდომა) უფლებამოსილია:
 - ა) შეიტანოს ცვლილებები სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში;
 - ბ) განსაზღვროს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის პრიორიტეტები;
 - გ) აირჩიოს წარმომადგენლები ფაკულტეტის საბჭოში;
 - დ) აირჩიოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
 - ე) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის ლიდერთა საბჭოს;
 - ვ) ხმათა უმრავლესობით უფლებამოსილია დასვას პრეზიდენტის გადაყენების საკითხი, თუ ის ვერ ასრულებს მისთვის ამ დებულებით წაყენებულ მოთხოვნებს;
 - ზ) დასვას სტუდენტური თვითმმართველობის რომელიმე წევრის გარიცხვის საკითხი შესაბამისი ფაკულტეტის წინაშე, იმ შემთხვევაში თუ ის არღვევს ამ დებულებას, ხელს უშლის თვითმმართველობის სხდომების ჩატარებას, არ ასრულებს დავალებებს, არ მონაწილეობს პროექტების შემუშავებაში, ანუ არ არის თვითმმართველობის აქტიური წევრი;
 - თ) ახორციელებს სხვა მოქმედებებს, სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. პარლამენტის სხდომის გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, გადამწყვეტია პრეზიდენტის ან ვიცე პრეზიდენტის ხმა.
7. სტუდენტური თვითმმართველობის სხდომებს უძღვებიან სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტი, ხოლო სხდომის ოქმებს აფორმებს სხდომის მდივანი; სხდომის მდივანს ასევე ევალება სხდომების ორგანიზება და წევრების ინფორმირება სხდომის ჩატარების დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ; სხდომის მდივანს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობა.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება პარლამენტის სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის მიერ 2 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.
3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შეიძლება იყოს სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, ქმედუნარიანი, არ არის ნასამართლევი.
4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.
5. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს უწყდება უფლებამოსილება.
6. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
 - გ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;
 - დ) სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ, უზოუკვლოდ, დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
 - ე) გარდაცვალება.
7. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს იკავებს ვიცე-პრეზიდენტი.
8. საქართველოს კანონმდებლობის, კონსერვატორიის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია პარლამენტის სხდომის დღის წესრიგში დააყენოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არანაკლებ 2/3-სა.
9. პრეზიდენტს ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის წარმართვაზე.
10. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის კომპეტენციებია:
 - ა) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით, კანონმდებლობით დადგენილი წესით სტუდენტების ინტერესების წარდგენა კონსერვატორიის მართვის ორგანოების და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წინაშე;
 - ბ) სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის წარმართვა;
 - გ) სტუდენტური თვითმმართველობისთვის ლიდერთა საბჭოში შემაჯავლი კანდიდატურების წარდგენა განსახილველად;
 - დ) შეუძლია შექმნას მრჩეველთა საბჭოები კონკრეტულ პროექტებზე;
 - ე) ვიცე-პრეზიდენტის დანიშვნა;
 - ვ) მიმართულების ხელმძღვანელების დანიშვნა;
 - ზ) კონსერვატორიის სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა პროექტებში, პროექტის მომზადებისა და განხორციელების სტადიაზე; კანდიდატურების შერჩევა შესაძლებელია პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე ან ლიდერთა საბჭოს წარდგენით;
 - თ) პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტთან და ლიდერთა საბჭოსთან ერთად ყოველწლიურად (წლის ბოლოს მომავალი წლისათვის) ადგენს

საქმიანობის პროგრამას და ბიუჯეტს მოზიდული თანხების საფუძველზე და ზრუნავს ამ პროგრამის განხორციელებაზე;

ო) ზედამხედველობას უწევს კონკრეტული პროექტისათვის მოზიდული სახსრების მიზნობრივ ხარჯვას;

კ) კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებების შემუშავება და სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტისთვის (სხდომისთვის) წარდგენა განსახილველად;

ლ) ანგარიშვალდებულია სტუდენტური თვითმმართველობის წინაშე (კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით);

მ) ახორციელებს სხვა საქმიანობას, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით;

მუხლი 8. ვიცე-პრეზიდენტი

1. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტს ევალება საქმიანობის წარმართვა პრეზიდენტთან ერთად;
2. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი უფლებამოსილია მოიწვიოს სხდომები, აწარმოოს სხვადასხვა სახის მოლაპარაკება ყველა ინსტანციასთან, რომელიც საჭიროა თვითმმართველობის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.
3. ვიცე-პრეზიდენტს შეუძლია წარუდგინოს პრეზიდენტს სხვადასხვა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურები განსახილველად;
4. ეხმარება ლიდერებს და თვითმმართველობის თითოეულ წევრს დავალებების შესრულებასა და პროექტების შედგენაში;
5. უფლებამოსილია იყოს პროექტის კოორდინატორი;
6. ეხმარება პრეზიდენტს თვითმმართველობის სხდომების ორგანიზებაში;
7. ეხმარება პროექტის კოორდინატორს პროექტის წარმატებით განხორციელებაში;
8. უფლებამოსილია განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელიც მიმართულია სტუდენტური თვითმმართველობის ამ დებულებით დადგენილი საქმიანობის, პირველ რიგში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისკენ.
9. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
 - გ) მოქალაქეობის დაკარგვა;
 - დ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;
 - ე) სასამართლოს მიერ ქმედუვნაროდ, უგზოუკვლოდ, დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
 - ვ) გარდაცვალება.
10. ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტი ვალდებულია 1 თვის ვადაში თვითმმართველობის პარლამენტს წარუდგინოს ახალი კანდიდატურა განსახილველად.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები და მათი ამოცანები:

1. სასწავლო პროგრამებისა და გეგმების დეპარტამენტი – არსებული სასწავლო პროგრამების მუდმივი მონიტორინგი მათი გაუმჯობესების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, წინადადებების მომზადება ცვლილებების თაობაზე;

2. შემოქმედებითი საქმიანობის დეპარტამენტი – უზრუნველყოფს კონცერტების, კონკურსების, ფესტივალების, მასტერკლასებისა თუ კონფერენციების ორგანიზებას.
3. საზოგადოებასთან (მათ შორის სხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტურ თვითმმართველობებთან) ურთიერთობებისა და საინფორმაციო დეპარტამენტი – შეიმუშავებს წინადადებებს სხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტურ თვითმმართველობებთან კონტაქტების დამყარების თაობაზე, ამყარებს კონტაქტებს, კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, სხვა მიმართულებებთან თანამშრომლობის გზით, ამზადებს და აწვდის ინფორმაციას ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
4. სტუდენტის უფლებების დაცვის დეპარტამენტი – უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვას, როგორც კონსერვატორიის შიგნით, ისე ისე მის ფარგლებს გარეთ. დაეხმარება სტუდენტებს სხვადასხვა სტიპენდიების მოპოვებასა და შეღავათების მიღებაში.
5. პიარის სამსახური – ითანამშრომლებს მედიის სხვადასხვა საშუალებებთან; იმუშავებს ვებ – გვერდზე, სადაც მოხდება თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქება; გააკეთებს სხვადასხვა ღონისძიებების პიარს.
6. გასართობი ღონისძიებების დეპარტამენტი – უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ექსკურსიების, ექსპედიციებისა და საღამოების მოწყობას; ასევე მონაწილეობის მიღებას სპორტულ (სტუდენტურ) ღონისძიებებში;

მუხლი 10. თვითმმართველობის არჩევნები

1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება 2 წელიწადში ერთხელ.
2. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კონსერვატორიის ყველა სტუდენტს, თუ იგი აკმაყოფილებს წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.
3. არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით.
4. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ სტუდენტების რაოდენობის 1/3.
5. ყველა მიმართულების წევრს საბჭოში ირჩევს თავისივე მიმართულების სტუდენტი.
6. არჩევნები ცხადდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში, ყოფილი პრეზიდენტის, ან მოვალეობის შემსრულებლის მიერ.
7. არჩევნები უნდა ჩატარდეს გამოცხადებიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში.
8. საარჩევნო სისტემა ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტებისათვის:
 - კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი – 14 წევრი
 - საშემსრულებლო ფაკულტეტი – 14 წევრი

დასკვნა

1. წინამდებარე დებულება ძალაში შევიდეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერისთანავე.
2. ამ დებულების მიღებით გაუქმდეს სტუდენტური თვითმმართველობის 2013 წლის ** ნოემბრის დებულება.